

„დეპუტატი“ თუ „პარლამენტარი“*

ზაიმართა არჩევნები საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, რომელსაც ვუწოდებთ საქართველოს „პარლამენტ“ და არა „უმაღლესი“ ან „უზენაესი საბჭო“, რითაც ერთგვარად გავემიჯნეთ სახელწოდებითაც ხელისუფლების ძველ, საბჭოურ სტრუქტურებს. მაგრამ ამასთან ერთად „პარლამენტის წევრის“ აღმნიშვნელ სახელად მაინც ძველი ტერმინი „დეპუტატი“ რჩება.

ცნობილია, თუ რა ფსიქოლოგიურ-სემანტიკური დატვირთვის შემცველია საგნის სახელი, საერთოდ მოვლენისა თუ საგნის დასახელება. სასურველია, ამიტომ „დეპუტატი“ ტერმინი, რომელიც ქართულში რუსულიდან მომდინარეობს და თავდაპირველად ძველი, ამჟამად უკვე გაუქმებული „უმაღლესი საბჭოს“ წევრს აღნიშნავდა, „პარლამენტარი“ სახელით შევცვალოთ, რომელიც უშუალოდ „პარლამენტის წევრს“ ნიშნავს.

თვით „denymam“ ტერმინი რუსულში ლათინური ენიდან მომდინარეობს გერმანულის გზით, სადაც ეს სიტყვა სულ სხვა მნიშვნელობით იხმარება და არ აღნიშნავს საკანონმდებლო ორგანოს წევრს. „დეპუტატი“ საკანონმდებლო ასამბლეის წევრის მნიშვნელობით, „პარლამენტარი“ ტერმინის გვერდით, მხოლოდ ფრანგულსა და იტალიურში გვხვდება. სხვა საპარლამენტო სისტემებში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრის აღსანიშნავად ამისგან განსხვავებული ტერმინებია გამოყენებული. ინგლისურ და ამერიკულ სისტემებში, მაგალითად, ესაა „პარლამენტის წევრი“, „სენატორი“, „კონგრესმენი“, ხოლო, „დეპუტატი“ ტერმინი „მოადგილის“ მნიშვნელობით იხმარება.

ახალი ქართული უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფორმირებისას მიზანშეწონილია უარი ვთქვათ ძველ ტერმინოლოგიაზე, რომელიც გარკვეულ ასოციაციებს იწვევს, და შემოვიღოთ ახალი სახელწოდებები, კერძოდ „პარლამენტი“ და „პარლამენტარი“//„პარლამენტარები“ ნაცვლად „დეპუტატი“/ „დეპუტატებისა“. ეს მით უფრო სასურველია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკათა უმრავლესობაში, სადაც შენარჩუნებულია „უმაღლესი საბჭოები“, ამ „საბჭოების“ წევრები კვლავინდებურად სწორედ „დეპუტატებად“ იწოდებიან. თუ ჩვენ ვცვლით „უმაღლეს საბჭოს“ „პარლამენტით“, შესაბამისად უნდა შეიცვალოს „უმაღლესი საბჭოს წევრის“, ანუ „დეპუტატის“, სახელწოდება „პარლამენტის წევრის“ აღმნიშვნელი სახელწოდებით, ანუ „პარლამენტარი“//„პარლამენტარები“ ტერმინით.